

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

**აბოს მარტვილობის ინტერპრეტაციები -
იოანე საბანისძის „წამებაი წმინდისა და ნეტარისა ჰაბოისი“ და
გიორგი შატბერაშვილის „აბოს წამების ათი დღე“**

მარინე ხვედელიძე

khvedelidze.marine@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.10>

ქართული სასულიერო მწერლობა ისტორიის ყველა ეტაპზე გადამწყვეტ როლს ასრულებდა ეროვნული იდენტობის შენარჩუნებასა და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირებაში. XX საუკუნის მეორე ნახევარში ეს ტრადიცია ახლებური რაკურსით წარმოჩნდა. სტატია მიზნად ისახავს ორი ნაწარმოების - „წამებაი წმინდისა და ნეტარისა ჰაბოისისი“ და „აბოს წამების ათი დღის“ - შედარებით ანალიზს. მხატვრულ-ესთეტიკური და იდეურ-შინაარსობრივი ასპექტების შეპირისპირება ადასტურებს უახლეს ქართულ მწერლობაში სასულიერო მწერლობის რეცეფციას, ლიტერატურულ ტრანსფორმაცია-ინტერპრეტაციას, რომელიც განპირობებულია სხვადასხვა ეპოქის სულიერი და ესთეტიკური მოთხოვნებით.

საკვანძო სიტყვები: სასულიერო მწერლობა, ინტერპრეტაცია, სიმბოლო.

არაბი ჭაბუკი აბოს წამების ისტორია ქართული ლიტერატურისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემას წარმოადგენს. აბოს თავგანწირვა რწმენის, სულიერი ძლიერებისა და გმირობის საუკეთესო მაგალითია. სწორედ ამიტომ ქართველი მწერლები ამ თემას კვლავ უბრუნდებიან და ქრისტიანობისთვის მებრძოლ გმირს სხვადასხვა რაკურსით წარმოაჩენენ. ეს ყოველივე მკითხველის საკუთარ ისტორიასთან, ფესვებთან კავშირს განამტკიცებს. ტრაგიკული გმირის ისტორია, თავგანწირვა და ტანჯვა მწერალთა შთაგონების წყაროდ იქცევა, ზნეობრივი თემები ყველა ეპოქაში აქტუალურია.

გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებაში ისტორიული თემატიკა მრავალმნიშვნელოვადაა წარმოდგენილი. 1960 წელს მწერალი იწყებს ახალ რომანზე მუშაობას, რომლის სამიზნე ადრეფეოდალური ხანის საქართველო, ჩვენი ქვეყნისა და რწმენისათვის თავგანწირული წმინდანი აბოა. სამწუხაროდ, რომანი დამთავრებული არა არის, მწერლის ჩანაფიქრს სრული სახით ვერ ვეცნობით. სათაურისა და რომანის არსებულ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, 2025, N1(25)

სტრუქტურაზე დაკვირვებით, შემდეგ იოანე საბანისძის „აბოს წამებასთან“ შედარება-შეპირისპირებით არაერთ დეტალზე შეძლება კონცენტრირება. იოანე საბანისძის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში წმინდანის შესახებ უტყუარ ფაქტად ფიქსირდება, რომ წმინდანმა საპყრობილები ათი დღე გაატარა, უფრო სწორად, სრული ცხრა ღამე და მეათე დღეს აღესრულა. რომანის სათაური „აბოს წამების ათი დღე“ მკითხველში ყურადღებას ამახვილებს წამების პერიოდზე, მის ხანგრძლივობაზე. „ათი დღე“ აბოს ტანჯვას ქრონოლოგიურ ჩარჩოში აქცევს. ამით წამების ხანგრძლივობა მკითხველისთვის უფრო ხელშესახები და რეალური ხდება. საპატიმროში გატარებული დღეები წმინდანის სულიერ გმირობასა და ფიზიკური ტკივილის ზღვარზე მყოფი ადამიანის ტრაგედიას უნდა წარმოაჩენდეს. აღნიშნული სათაურით მწერალი აბოს ცხოვრების ყველაზე კრიტიკულ მონაკვეთზე აფიქრებს მკითხველს. სიმბოლური დატვირთვით რიცხვი ათი ქრისტიანულ კულტურაში გაიაზრება როგორც სრულყოფილების ნიშანი (მაგალითად, ათი მცნება). არსებულ ტექსტზე დაკვირვებით, ვფიქრობ, მეოცე საუკუნის მწერალი ასეთ ღრმა მეტაფორულ აზროვნებას არ უნდა მიმართავდეს. იგი წინამორბედ ავტორს, საბანისძეს, მოიხმობს, წამების ტექსტიდან მნიშვნელოვან ეპიზოდს გამოკვეთს და ამით წარმოაჩენს აბოს რწმენისა და პიროვნული ძლიერების გამოცდის კრიტიკულ პერიოდს. გიორგი შატბერაშვილის მიერ შერჩეული სათაური მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტისა და ისტორიული რეალობის კონტექსტში მოქცევის მცდელობაა.

ზოგადად, ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთა სათაური ინფორმაციული და ყველა მნიშნელოვანი საკითხის მომცველია, მაგალითად, ვინ არის გმირი, წამებას აღწერს თუ ცხოვრებას. მეოცე საუკუნის მწერალი ქმნის რომანს და სათაურად გმირის ცხოვრების ბოლო პერიოდის ათ დღეს აირჩევს. თანამედროვე რომანისათვის სათაური ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ის მკითხველში უნდა აღძრავდეს ინტერესს, ასახავდეს ძირითად თემასა და იდეას, იყოს მარტივად დასამახსოვრებელი, ორიგინალური და შთამბეჭდავი. სათაური მკითხველსა და ტექსტს შორის კავშირს უნდა ამყარებდეს. უახლესი ლიტერატურის მწერალიც აღნიშნულ ეფუძნება, თუმცა რომანის სიუჟეტი არასრულია და მისი ფრაგმენტულობის გამო, ტექსტისა და სათაურის აზრობრივი მთლიანობა დარღვეულია. ავტორს, ცხადია, ჩანაფიქრი ჰქონდა, რომ რომანირამდენიმე კარად დაეყო. პირველი კარის შემდეგ მინიშნებულია დღე პირველი, ალბათ, შესაბამისად უნდა დაწერილიყო ათი დღე. „ვრცელ რომანად განზრახული „აბოს წამების ათი დღიდან“ ერთი დღის დახატვაც ვერ მოასწორო. რამდენი შრომა დახარჯა ამ სარომანე მასალების შეგროვებასა და შესწავლისათვის, ფაქტიურად შექმნილი ჰქონდა ზეპირად, მხოლოდ

მ. ხვედელიძე

ქალალდზე გადატანაღა იყო საჭირო. ერთი რიგიანი ჩაჯდომა, ერთი რიგიანი შეტევა და უძვირფასესი რომანი დაიბადებოდა, მაგრამ ვაგლახ, რომ ის ერთი შეტევა ვეღარ მოასწრო...” (ხორგუაშვილი 1990, 120). რომანში გვხვდება თავი მუხათგვერდელი, მნიშვნელოვანი ეპიზოდები ერთმანეთისგან სიმბოლოებითაა გამოყოფილი, ხოლო ფინალურ ნაწილში ბოლო თავის ფრაგმენტებია აღწერილი და სათაურიც შესაბამისადაა დასმული.

შატბერაშვილის რომანში გვხვდებიან რეალური ისტორიული პიროვნებები: ნერსე (ქართლის ერისმთავარი), მისი დის შვილი სტეფანოზი, აფხაზთა მთავარი. ამ თვალსაზრისითაც წამებასთან უნდა გავავლოთ პარალელი და კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ მეოცე საუკუნის მწერალი შორეული ჰაგიოგრაფიის გავლენით ქმნის რომანს. გარდა რეალური პერსონაჟებისა, შატბერაშვილთან მწერლის ფანტაზიით შექმნილი, გამონაგონი პერსონაჟები გვხდებიან. ესენია მუხათგვერდელი ძმები: შიო და ქუცნა უკანბერიძეები. უფროსი მმა შიო, ჭეშმარიტი ქრისტიანია, ხოლო მისი უმცროსი მმა, ქუცნა, მოღალატეა. „ქართული ჩოხა აცვია, მაგრამ ურჯულოების კაცია. საქმე ის არის ჩოხის ქილებქვეშ რა გული უცემს კაცსა” (შატბერაშვილი 2011, 287).

შიო სრულიად უცხო ჭაბუკს დაეხმარება, ურემზე დამალავს და ქალაქიდან მის გაყვანას შეეცდება. შიომ არაბი აბო გადაარჩინა შეპყრობას, მაგრამ თვითონ აღმოჩნდა დილეგში, რომლის ზედამხედველი მისივე მმაა, გამაჰმადიანებული ქუცნა.

იოანე საბანისძის თხზულებაში ნახსენებია, რომ დილეგში აბოსთან ერთად სხვა ქრისტიანი პატიმრები ისხდნენ, თუმცა მათ შესახებ არაფერია ნათქვამი. გიორგი შატბერაშვილი წამებიდან ნაკლებ საყურადღებო დეტალს წინა პლანზე წამოჩევს და რომანში ხატავს იმ პატიმართა სახეებს. ყოველი მათგანი გამოგონებული პერსონაჟია: იაბერა, ფანდრე, მოხუცი ლაზარე. პატიმართა საერთო საზრუნავი მშობლიური ქვეყანაა, როგორ გადაარჩინონ ის არაბთა ბატონობისგან.

მწერალი დაწვრილებით აღწერს აბოს წამების მეათე დღეს, მის მოწამეობრივ აღსასრულს. ყურადღება საგანგებოდ უნდა მივაქციოთ დასჯის სცენას. იოანე საბანისძესთან ვკითხულობთ: „და ესე რაი თქვა, უკუნისხნა ხელნი თვისნი ჯვარისსახედ ზედა ზურგსა თვისსა და მხიარულითა პირითა და კადნიერითა სულითა ღაღად ყო ქრისტეს მიმართ და მოუდრიკა ქედი თვისი მახვილსა.

და სცეს მას მახვილითა სამგზის, რამეთუ ჰერნებდეს, ვითარმედ შიშითა სიკვდილისათა განაშორონ იგი ქრისტესა. ხოლო წმიდად იგი მარტვილი დუმილით მხნედ მიითვალვიდა მახვილსა, ვიდრემდის შეჰვედრა სული

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, 2025, N1(25)

თვის უფალსა“ (საბანისძე 1987, 464). ჰაგიოგრაფიული თხზულებისაგან განსხვავებით, გიორგი შატბერაშვილი სხვაგვარად ხატავს აბოს დასჯის სცენას, რომლის მიხედვით, ჯალათმა მახვილი არა კისერზე, არამედ ზურგში ამგერა. სიკვდილის წინ მარტვილს მხრებზე ჯვარი გამოესახა, რამაც უფრო შთამბეჭდავი გახადა მისი აღსასრული. „ჯალათმა ღონე მოიკრიბა, ჩამობნელებულ ზეცას მიაბჯინა თვალები და სწრაფად ამგერა მახვილი ერთხელ ზემოთ. ბეჭებთან გადაჯვარედინებულ ხელებშუა, მეორედ - დაბლა, მაჯებშუა. ხოლო აბო უდრტვინველად დუმილით იტანდა ტკივილს და თვალს აყოლებდა მახვილს“ (შატბერაშვილი 2011, 315). ორივე მონაკვეთი აბოს უდიდეს სიმშვიდესა და მოთმინებას გამოხატავს. იგი დუმილით იტანს ტკივილს, რაც მოწამეობრივი აღსასრულის ნათელი გამოხატულებაა. გიორგი შატბერაშვილი კიდევ უფრო დეტალურად, შეიძლება ითქვას, კინემატოგრაფიული კადრივით აღწერს წამების სცენას. „ჯალათმა ღონე მოიკრიბა“, გარკვეული ფიზიკური ძალისხმევით ემზადება დარტყმისათვის, რაც მეტ დრამატიზმს სძენს სიუჟეტს. განსხვავებაა დარტყმის ადგილიც (საბანიძესთან- კისერზე, ხოლო შატბერაშვილთან -ზურგში), ეს კიდევ უფრო მეტ ტკივილს გულისხმობს. აბოს მხრებზე გამოსახული ჯვარი სიმბოლურად მის სულიერ გამარჯვებასა და ქრისტესთან ერთიანობას წარმოაჩენს. გრადა განსხვავებული დასჯის ფორმისა, რომანში აბოს განსხვავებული მიზეზით სჯიან. აბო მეგობრობდა ქართლის ერისმთავრის ვაჟთან. ნერსეს მემკვიდრეს თბილისის ამირა ბალდადში მძევლად გაგზავნას უპირებდა. აბომ იგი განსაცდელისაგან იხსნა, ქალაქიდან გააპარა. ცალსახაა, რომ მწერლისთვის არაა მთავარი მხოლოდ აბოს პიროვნება წარმოაჩინოს ან მისი ტრაგიკული აღსასრული ასახოს. მისთვის არსებითია, ახსნას არსი და მნიშვნელობა აბოს გმირობა-მარტვილობისა. რომანში ამ კუთხით საყურადღებოა რამდენიმე დეტალი. შიოს ძმა, რომელსაც რწმენა დაუგდია და არაბების სამსახურში ჩამდგარა, ქალაქში დარჩენას სთხოვს, შინ ეპატიუება.

„ - დაასვენე ძვლები, კაცო, დავლიოთ, მტკვრის ცოცხალი მაქვს, სანათლილებოდ იჭერენ და...“

- ქრისტეს გადაუდექ და ნათლისღებას მაინც არ იკლებ?“ (შატბერაშვილი 2011, 297)- სიტყვას შეაწყვეტინებს გაკვირვებული შიო. აღნიშნული მონაკვეთის კრიტიკული შეფასება გვაძლევს საშუალებას, ჩავწვდეთ შიოს ძმის პიროვნულ განსხვავებულობას. ქუცნა მტრის მხარეს მყოფი ქართველია, ქრისტე დაუგმია. ძმის სტუმრობისა და ქართულად გამასპინძლების სურვილი ჯერ კიდევ შერჩენია. მკითხველი ეცნობა ორი საპირისპირო ღირებულების მქონე ადამიანს. იქმნება კონტრასტული

მ. ხვედელიძე

სახეები, მმების ფონზე გვახსენდება ის მძიმე სოციალური ვითარება, რომელიც საბანისძემ აღწერა. არაბებმა როგორ გადაიბირეს ქართველები სხვადასხვა გზით - ზოგი ძალადობით, ზოგი მოტყუებითა და გამოუცდელობით. შიოსთვის ქუცნას საქციელი მიუღებელი და გაუგებარია. „ქრისტეს გადაუდექი“ – ეს ფრაზა გამოხატავს შიოს გაოცებასა და უკმაყოფილებას. მორალური თვალსაზრისით გამოკვეთილია მატერიალური და სულიერი სამყაროს კონფლიქტი. მტკვრის ცოცხალის ნათლისღებისთვის შენახვა გარეგნულ ფორმალურ ერთგულებაზე მიუთითებს, რეალურად ქუცნას დაკარგული აქვს რწმენის ნამდვილი არსი. აღნიშნულ მონაკვეთში აირეკლება მორწმუნეთა იდეალების დაცემა-გაითვარება, საბჭოთა ყოფის სინამდვილე, ყალბი და მოჩვენებითი რწმენა, რადგან რელიგიური დღესასწაულების მხოლოდ უხვი სუფრით აღინიშნება. საპატიმროში მყოფ შიოს სიკვდილის არ ეშინა, გაცნობიერებული აქვს, რომ ერთხელ დაბადებული ადამიანი ერთხელ მოკვდება, მაგრამ წუხს ჭირს რომ შეეყარა, თავიც დაღუპა და ძმაც დაკარგა. უკანასკნელ ფრაზაში გადაგვარებული, ზნედაცემული ძმის დანახვა იგულისხმება. შიო ქალაქში მცხოვრები ძმის შესახებ ამდენ ინფორმაციას არ ფლობდა. საპყრობილები კი მისი რეალური სახე დაინახა. პატიმრები მას ბიბლიური ფრაზეოლოგიზმით მოიხსენიებენს - „იუდა უკანბერიძე“. გულმოკლული მოხუცი თვალებს დახუჭავს და სახეზე ხელებს აიფარებს. აღნიშნული მონაკვეთებით მწერალი მერვე საუკუნის ქართლს ასურათებს. თუმცა დრო ლიტერატურაში პირობითად შეიძლება გავიაზროთ, მით უფრო, როცა ისტორიული შინაარსისაა. მასში ორი დრო უნდა აღმოვაჩინოთ: დრო, რომელიც ნაწარმოებშია წარმოდგენილი და ეპოქა, როცა ეს ნაწარმოები შეიქმნა. მაშასადამე, მედროვეობის თვალსაზრისით ქუცნას პიროვნებაში მეოცე საუკუნის ადამინებიც უნდა ამოვიცნოთ.

სხვა ეპიზოდში გიორგი შატბერაშვილი ეპოქას ორიოდე წინადადებითაც ოსტატურად გამოკვეთს: „მოშორებით, ხევის პირას, პატარა თეთრი საყდარი ჩანდა. საყდარს ჯვარი წამტვრეული ჰქონდა“ (შატბერაშვილი 2011, 301). თეთრი საყდარი სიმბოლოა ქრისტიანული სიწმინდისა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იმთავითვე ქართული იდენტობის საყრდენი იყო. თუმცა ახლა ჯვარი წამტვრეული აქვს, რაც გამოსახავს ეპოქის ძალადობრივ მიდგომას სარწმუნოებისადმი და სულიერი ღირებულებების გათელვას. შატბერაშვილი საყდარზე დაზიანებულ ჯვარში ავლენს იმდროინდელი საზოგადოების სულიერ კრიზის, კულტურული მემკვიდრეობის უგულებელყოფას, ეროვნული იდენტობის შელახვასა და დაკარგულ ტრადიციებს.

საბანისძე ნათლითმოსილ წმინდანად გვიხატავს აბოს. ყოველ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში გვხვდება მხატვრული სახე - ნათელი.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, 2025, N1(25)

შატბერაშვილიც იმეორებს დამკვიდრებულ სახე-სიმბოლოს, წმინდანს ზურგზე თეთრად გამოესახება ჯვარი. მას ჯალათიც კი შეამჩნევს.

თბილისისკენ შიო ხარებით მოდიოდა. დაპატიმრების დროს იგი ხარებზე დარღობს: „დღეს წყალი არ დაულევიათ...“ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხელი ჩაიქნია. მერე ის მოწყვეტილი მარჯვენა ხელი მსუბუქად დაჰკრა ჯერ ერთ, მერე მეორე ხარს, დაუტია, წინ გარევა.

„დილას აქეთია შენც არ ჩაგსვლია ნაწილი პირში“... (შატბერაშვილი 2011, 301). საპატიმროში მყოფი მოხუცი კარგად იცნობს თავისი ხარების, ნისლასა და ირმას, ყრუ ბდავილს, რომლების სადილებოს ცივ კედლებს შეჰქმდავიან. ხარის შემოყვანა თხრობაში არაა შემთხვევითი და მოულოდნელი. მიუხედავად იმისა, რომ იოანე საბანისძესთან მსგავსი შინაარსის მქონე ეპიზოდი არ ფიქსირდება, ქრისტიანული ასპექტებით დატვირთულ რომანში აღნიშნულიც ლოგიკური და ბუნებრივია, რადგან ხარი ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენებით წმინდა ცხოველად ითვლებოდა, ასოცირდებოდა ძალასთან, სიმტკიცესთან, გამძლეობასთან. ხარი გახლდათ ჩვენი ქვეყნის ისტორიული რეალობის განმსაზღვრელი. ქართველი კაცისათვის იგი იყო არსებობის, შენებისა და გამძლეობის ძალის მიმცემი.

გიორგი შატბერაშვილის „აბოს წამების ათი დღე“, არა მხოლოდ იოანე საბანისძის „აბოს წამებასთან“ ამყარებს იდეურ-შინაარსობრივ და მხატვრულ-ესთეტიკურ კავშირს, არამედ სასულიერო ლიტერატურის სხვა ტექსტებთან. ბიბლიური ალუზია იგრძნობა მონაკვეთში, როდესაც შიომ თავისი ხარები დაინახა, ქედზე მძიმე უღელი ედგათ, დატვირთული უღელი მსუბუქად მიჰქონდათ მუხათგვერდისკენ. შიოსაც მძიმე უღელი ედგა, მაგრამ თანდათან მსუბუქდებოდა. აღნიშნულ ეპიზოდამდე მოხუცი შიო თავს ძალას ატანს გაიხსენოს სიტყვები.

„იმაგრე და გაიხსენე თუ წაგიკითხავს: უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი მსუბუქ არს...“ (შატბერაშვილი 2011, 313). ქრისტესმიერ შვილს აღნიშნული წაკითხული ექნებოდა მათე სახარების მეათე თავში: „ვინაითგან უღელი ჩემი ამაოა, და ტვირთი ჩემი - მსუბუქი“ (მათე 11, 30: 799). უღელი მსახურებას აღნიშნავს, ტვირთი- ტანჯვას. აღნიშნული ბიბლიური ალუზით ავტორი ცდილობა ქრისტესათვის თავდადებულ მამაც გმირად მხოლოდ აბაო არ დახატოს, არამედ აჩვენოს ტრადიციულ ქრისტიან ქართველთა სახე. აღნიშნული პასაჟი კიდევ ერთი განსხვავებაა მეოცე საუკუნისა და მერვე საუკუნის ლიტერატურულ ძეგლებს შორის.

XX საუკუნის მწერალი წმინდა აბო თბილელის შესახებ შექმნილ ლიტერატურულ ტექსტში ახლებური ინტერპრეტაციით ცდილობს წმინდანის სახის შექმნას, მისი ღვაწლის გაზრებას. ქრისტიანული და

მ. ხვედელიძე

ეროვნული იდენტობისათვის თავდადებული წმინდანი შატბერაშვილის თხზულებაში ტრანსფორმირდება, რაც დაკავშირებულია ავტორის ხედვასთან, მის ინდივიდუალიზმთან, თანამედროვე ეპოქის სულიერ და ესთეტიკურ მოთხოვნებთან. წმინდა აბო თბილელის ჰაგიოგრაფიული სახე წარმოადგენს თანამედროვე ლიტერატურული ტრადიციების საფუძველსა და ეროვნული ღირებულებების სულიერ საზრდოს.

ლიტერატურა

- ბიბლია. 2013. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L.“
საბანისძე, ი. 1987. ჰაბოს წამება. ქართული მწერლობა, ტომი I. თბილისი:
გამომცემლობა „ნავადული“.
შატბერაშვილი, გ. 2011. მკვდრის მზე. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა
L“.
ხორგუაშვილი, გ. 1990. „მოგონებები გიორგი შატბერაშვილზე“. ჟურნალი
მნათობი, № 5, 1990. თბილისი.

Literature and Literary Theory

**Interpretations of the Martyrdom of Abo - ‘The Martyrdom of Abo of Tbilisi’
by Ioane Sabanisdze and ‘Ten Days of Abo’s Martyrdom’
by Giorgi Shatberashvili**

Marine Khvedelidze
khvedelidze.marine@atsu.edu.ge
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2025.1.25.10>

Georgian spiritual literature played a decisive role in preserving national identity and shaping public consciousness at every stage of history. This tradition emerged from a new perspective in the second half of the 20th century. The article aims to provide a comparative analysis of two works - “The Martyrdom of Abo of Tbilisi” and “Ten Days of Abo’s Martyrdom.” The comparison of artistic-aesthetic and ideological-content aspects confirms the reception of spiritual literature in modern Georgian writing, its literary transformation and interpretation, which is conditioned by the spiritual and aesthetic requirements of different epochs.

Keywords: spiritual literature, interpretation, symbol.

The martyrdom story of the Arab youth Abo represents one of the most significant themes in Georgian literature and Christian worldview. Abo's self-sacrifice is the finest example of faith, spiritual strength, and heroism. This is precisely why Georgian writers keep returning to this theme and present the hero fighting for Christianity from different perspectives.

In 1960, Giorgi Shatberashvili began working on a new novel targeting early feudal Georgia and Saint Abo, who sacrificed himself for our country and faith. Unfortunately, the novel remains unfinished, and we cannot fully understand the writer's complete vision. By observing the title and the existing structure of the novel, then comparing and contrasting it with Ioane Sabanisdze's "Martyrdom of Abo," we can focus on several details. In Ioane Sabanisdze's hagiographic work, it is recorded as an undeniable fact that the saint spent ten days in prison, or more precisely, nine full nights, and was executed on the tenth day. The novel's title "Ten Days of Abo's Martyrdom" draws the reader's attention to the period of torture and its duration. "Ten days" puts Abo's suffering into a chronological framework. This makes the duration of the torture more tangible and real for the reader.

In Shatberashvili's novel, we encounter real historical figures: Nerse (Eristavi of Kartli), his nephew Stepanoz, and the ruler of Abkhazia. From this perspective, we should draw a parallel with the martyrdom text and note that the twentieth-century writer creates a novel under the influence of distant hagiography. Besides real characters, in Shatberashvili's work, we meet fictional characters created by the writer's imagination. These are the Mukhatgverdi brothers: Shio and Kutsna Ukanberidze. The elder brother Shio is a true Christian, while his younger brother, Kutsna, is a traitor. "He wears a Georgian chokha, but he is an unfaithful man. The matter is what kind of heart beats under the chokha's ornaments" (Shatberashvili 2011, 287).

Shio helps a complete stranger, hides him on a cart, and attempts to escort him out of the city. Shio saved the Arab Abo from capture, but he himself ended up in prison, where the overseer is his own brother, the converted-to-Islam Kutsna.

In his work, Ioane Sabanisdze mentions other Christian prisoners who were with Abo in prison, though nothing is said about them. Giorgi Shatberashvili brings this less notable detail from the martyrdom to the forefront and depicts the faces of those prisoners in the novel. Each of them is a fictional character: Iabera, Fandre, and elderly Lazare. The prisoners' common concern is their homeland and how to save it from Arab dominion.

The writer describes in detail the tenth day of Abo's torture and his martyred end. Special attention should be paid to the execution scene. Unlike the hagiographic

გ. ხვედელიძე

work, Giorgi Shatberashvili portrays Abo's execution scene differently, according to which the executioner thrust the sword not into his neck but into his back. Before death, a cross appeared on the martyr's shoulders, making his end more impressive. Shatberashvili describes the torture scene even more meticulously, one might say, like a cinematographic shot. The executioner gathers his strength, preparing for the strike with a certain physical effort, which adds more drama to the plot. There is also a difference in the strike location (with Sabanisdze - on the neck, while with Shatberashvili - on the back), which implies even more pain. Besides the different forms of execution, in the novel, Abo is punished for a different reason. Abo was friends with the son of Kartli's Eristavi. The Emir of Tbilisi was planning to send Nerse's heir to Baghdad as a hostage. Abo saved him from this danger by helping him escape the city. Sabanisdze portrays Abo as a radiant saint. In every hagiographic work, we encounter the artistic image of light. Shatberashvili also repeats this established image symbol, with a white cross appearing on the saint's back. Even the executioner notices it.

It's clear that for the writer, the main focus is not only to portray Abo's personality or depict his tragic end. For him, it's essential to explain the meaning and significance of Abo's heroism and martyrdom. Several details in the novel are noteworthy. Shio's brother, who has abandoned his faith and entered into the service of the Arabs, asks him to stay in the city and invites him home.

"Rest your bones, man, let's drink, I have fresh Mtkvari fish, they catch it for Epiphany and..." "You've forsaken Christ but still won't give up Epiphany?" (Shatberashvili 2011, 297) - the surprised Shio interrupts him. A critical assessment of this passage allows us to understand the personal difference of Shio's brother. Kutsna is a Georgian who has sided with the enemy and denounced Christ. Yet he still retains the desire to host his brother in the Georgian way. The reader meets two people with opposing values. Contrasting images are created, and against the background of the brothers, we are reminded of the difficult social situation that Sabanisdze described - how Arabs won over Georgians in various ways - some through violence, others through deception and inexperience. For Shio, Kutsna's behavior is unacceptable and incomprehensible. This passage reflects the fall and devaluation of believers' ideals, the reality of Soviet life, and false and superficial faith, as religious holidays are marked only by abundant feasts.

In one of the episodes, Giorgi Shatberashvili masterfully emphasizes the epoch in just a couple of sentences: "In the distance, by the ravine, a small white church was visible. The church's cross was broken" (Shatberashvili 2011, 301). The white church is a symbol of Christian purity, which has been the foundation of

Georgian identity throughout the centuries. However, now its cross is broken, which represents the era's violent approach towards religion and the trampling of spiritual values. Through the damaged cross on the church, Shatberashvili reveals the spiritual crisis of the society of that time, the neglect of cultural heritage, the violation of national identity, and lost traditions.

The 20th-century writer attempts to create a new interpretation of the saint's image and understand his contribution through the literary text about Saint Abo of Tbilisi. The saint who sacrificed himself for Christian and national identity is transformed in Shatberashvili's work, which is connected to the author's vision, his individualism, and the spiritual and aesthetic requirements of the modern era. The hagiographic image of Saint Abo of Tbilisi represents the foundation of modern literary traditions and the spiritual nourishment of national values.